

**დამტკიცებულია**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის  
კოლეჯის დირექტორის  
2019 წლის 13 თებერვლის  
№8 ბრძანებით

**მოდიფიცირებულია**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის  
კოლეჯის დირექტორის  
2020 წლის 25 მაისის № 53 ბრძანებით

**სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა**

მისამართი: ქ.თბილისი, ქ. თბილისი თემის დასახლება,  
მე-11 მკ.რ. მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10  
პროგრამის ხელმძღვანელი: გივი დუჩიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: [giaduche65@gmail.com](mailto:giaduche65@gmail.com)  
მობ. ტელ.: 591 01 52 95

თბილისი  
2020 წ.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

### 1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:

ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი/ Logistics and port management

### 2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: 0413-3

### 3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics (კვალიფიკაციის კოდი - 0413)

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“, კოდი 0413, აღმწერი - „შეისწავლის ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ფუნქციონირებისა და საქმიანობის დაგეგმვას, ხელმძღვანელობასა და მუშაობას/ოპერირებას. მენეჯმენტის პროგრამები, რომლებიც მოიცავენ ადმინისტრირებას, ეკონომიკას, ფინანსებს და ა.შ. კლასიფიცირდება ამ სფეროში თუ აქცენტი გადატანილია მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაზე.“

### 4. მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრს, რომელმაც იცის სატრანსპორტო, სასაწყობო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; გადაზიდვების მონიტორინგი.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

### 5. დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება დანართი №1-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე.

საბაზო განათლება დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე.

**6. დასაქმების შესაძლებლობები:** ლოგისტიკაში საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ორგანიზაციებში; საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში; სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციებში; სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში; სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსებში; სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ორგანიზაციებში; მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ორგანიზაციებში; გამანაწილებელ

და ლოგისტიკურ ცენტრებში; საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში; სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 49.4; 49.41; 49.41.0; 49.42; 49.42.0; 51.2; 51.21; 51.21.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3323.

## 7. სტრუქტურა და მოდულები

**არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:**

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში - მოიცავს 5 ზოგად მოდულს, ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით და 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის რაოდენობით.

ლოგისტიკაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 69 კრედიტს.

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს. საწარმოო პრაქტიკის მოდულის ფარგლებში პროფესიული ამოცანების დამოუკიდებლად შესრულება და შესრულებული სამუშაოს ჩაბარება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

მოდულის, ქართული ენა A2, B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 69 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 46 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 99 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 68 კვირა.

| ზოგადი მოდულები |                              |         |
|-----------------|------------------------------|---------|
|                 | მოდულის დასახელება           | კრედიტი |
| 01              | ქართული ენა A2               | 15      |
| 02              | ქართული ენა B1               | 15      |
|                 | ჯამი                         | 30      |
|                 | ზოგადი მოდულები              | კრედიტი |
| №               | მოდულის დასახელება           |         |
| 1               | რაოდენობრივი წიგნიერება      | 2       |
| 2               | უცხოური ენა (ინგლისური ენა)  | 5       |
| 3               | ინფორმაციული წიგნიერება 1    | 3       |
| 4               | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3       |
| 5               | მეწარმეობა 2                 | 2       |

| სულ                 |                                                      | 15      |
|---------------------|------------------------------------------------------|---------|
| პროფესიული მოდულები |                                                      |         |
| №                   | მოდულის დასახელება                                   | კრედიტი |
| 6                   | გაცნობითი პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 2       |
| 7                   | ლოგისტიკის საფუძვლები                                | 5       |
| 8                   | გადაზიდვის მომზადება                                 | 4,5     |
| 9                   | სარკინიგზო გადაზიდვები                               | 6       |
| 10                  | გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია                       | 4,5     |
| 11                  | საწყობის ლოგისტიკა                                   | 5       |
| 12                  | საავტომობილო გადაზიდვები                             | 4       |
| 13                  | საავიაციო გადაზიდვები                                | 4       |
| 14                  | საზღვაო გადაზიდვები                                  | 4       |
| 15                  | პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 3       |
| 16                  | საწარმოო პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა  | 12      |
| სულ                 |                                                      | 54      |

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:**

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 8 კრედიტის ოდენობით; 5 ინტეგრირებულ მოდულს 60 კრედიტის ოდენობით და 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის რაოდენობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 122 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 120 კვირა.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 122 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კვირა;
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 152 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 142 კვირა.

| ქართული ენის მოდულები |  |           |
|-----------------------|--|-----------|
| მოდულის დასახელება    |  | კრედიტი   |
| 01 ქართული ენა A2     |  | 15        |
| 02 ქართული ენა B1     |  | 15        |
| <b>სულ:</b>           |  | <b>30</b> |

| ინტეგრირებული მოდულები |                            |         |
|------------------------|----------------------------|---------|
| მოდულის დასახელება     |                            | კრედიტი |
| 1.                     | კომუნიკაცია ქართულ ენაზე   | 14      |
| 2.                     | მეწარმეობა                 | 4       |
| 3.                     | მათემატიკური წიგნიერება    | 14      |
| 4.                     | მეცნიერება და ტექნოლოგიები | 18      |
| 5.                     | მოქალაქეობა                | 10      |
| სულ:                   |                            | 60      |

| ზოგადი მოდულები     |                                                      | კრედიტი |
|---------------------|------------------------------------------------------|---------|
| 6.                  | უცხოური ენა (ინგლისური ენა)                          | 5       |
| 7.                  | ინფორმაციული წიგნიერება 1                            | 3       |
| სულ                 |                                                      | 8       |
| პროფესიული მოდულები |                                                      |         |
| მოდულის დასახელება  |                                                      | კრედიტი |
| 8.                  | გაცნობითი პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 2       |
| 9.                  | ლოგისტიკის საფუძვლები                                | 5       |
| 10.                 | გადაზიდვის მომზადება                                 | 4,5     |
| 11.                 | სარკინიგზო გადაზიდვები                               | 6       |
| 12.                 | გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია                       | 4,5     |
| 13.                 | საწყობის ლოგისტიკა                                   | 5       |
| 14.                 | საავტომობილო გადაზიდვები                             | 4       |
| 15.                 | საავიაციო გადაზიდვები                                | 4       |
| 16.                 | საზღვაო გადაზიდვები                                  | 4       |
| 17.                 | პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 3       |
| 18.                 | საწარმოო პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა  | 12      |
| სულ                 |                                                      | 54      |

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:  
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - ლოგისტიკის მიმართულებით:

1. დაგეგმოს სატვირთო გადაზიდვები;
2. გააფორმოს შეკვეთა;
3. განახორციელოს გადაზიდვების მონიტორინგი;
4. შეავსოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია;
5. გადაზიდვების დროს გამოთვალოს ლოგისტიკური დანახარჯები;
6. მიიღოს ტვირთი საწყობში;
7. გააკონტროლოს ნაშთები.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა შეიმუშავა ჩარჩო დოკუმენტის „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი/logistics and Port Management“ საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

### მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზღუდვრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## 11. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## 13 . პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

დანართი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმები, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით, ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);

დანართი 2. პროგრამის დამტკიცებისა და ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანებები;

დანართი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;

დანართი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.

პროგრამის ხელმძღვანელი



გივი დუჩიძე

ხარისხის მართვის მენეჯერი



შოთა მარგიშვილი

დირექტორი



მანანა მოისწრაფიშვილი